



საქართველოს კონკურენციის
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

საქართველოში პლასტმასის მიღების ინდუსტრიის განვითარების შეფასება

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა.....	3
შესავალი.....	5
შეფასების მეთოდოლოგია.....	6
შესწავლის ობიექტისა და მსგავსი პროდუქტის განსაზღვრა.....	7
პლასტმასის მიღების ადგილობრივი ინდუსტრია.....	11
პლასტმასის მიღების იმპორტი.....	16
ზიანის დადგენა.....	22
პლასტმასის მიღების საერთაშორისო ბაზარი.....	24
დასკვნა.....	27

მოკლე მიმოხილვა

2022-2025 წლებში საქართველოში პლასტიკის მიღების ინდუსტრიის ტენდენციების შეფასებამ აჩვენა, რომ ადგილობრივი მწარმოებლების შემოსავლების დინამიკა ცვალებადი იყო. აღნიშნულ პერიოდში პლასტიკის მიღების რეალიზაციით მიღებული შემოსავლის წლიური ნაერთი კლების მაჩვენებელმა 5% შეადგინა, რაც ძირითადად 2025 წელს დაფიქსირებული მკვეთრი შემცირებით იყო განპირობებული. ამასთანავე, 2023-2024 წლებში ადგილობრივი ინდუსტრიის შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ადგილობრივი მოხმარებისთვის წარმოებული პლასტიკის მიღების დაახლოებით 85% პოლიეთილენისგან მზადდება, შეფასება ფოკუსირდა პოლიეთილენის მიღების ბაზარზე. ანალიზის მიხედვით, ადგილობრივი ინდუსტრია მთელი პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებდა დომინანტურ პოზიციას მთლიან მოხმარებაში. სააგენტოსთვის ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით, ადგილობრივი ინდუსტრიის საბაზრო წილის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2025 წელს დაფიქსირდა და 53% შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში, წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, ადგილობრივი ინდუსტრიის საბაზრო წილი 8 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

მთლიანი მოხმარების დინამიკა 2022-2024 წლებში მზარდი იყო, თუმცა 2024-2025 წლებში ბაზარზე გაყიდული პროდუქტის ღირებულება 7%-ით შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში ადგილობრივი გაყიდვების მკვეთრი კლების ფონზე იმპორტის შედარებით მცირე ზრდა იკვეთება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ადგილობრივი ინდუსტრიის მაჩვენებლების გაუარესება შესაძლოა, უფრო მეტად ბაზარზე მოხმარებული პოლიეთილენის მიღების ჯამური ღირებულების კლებას უკავშირდებოდეს, ვიდრე იმპორტირებული პროდუქტით ადგილობრივი წარმოების სრულ ჩანაცვლებას.

ქვეყნების მიხედვით იმპორტის განაწილებაში დომინანტურ პოზიციას თურქეთი ინარჩუნებს და 2025 წელს მისი წილი მთლიან იმპორტში 63%-ს შეადგენდა. თუმცა, მიუხედავად მნიშვნელოვანი მოცულობისა, 2023-2025 წლებში თურქული პროდუქტის წილი მთლიანი იმპორტის ბაზარზე შემცირდა (75%-დან 63%-მდე). თურქეთიდან იმპორტირებული პროდუქტის შემთხვევაში არ იკვეთება სტაბილური და მკვეთრი ზრდის ტენდენცია, რომელიც ადგილობრივი ინდუსტრიის მდგომარეობაზე არსებით უარყოფით გავლენას მოახდენდა.

ფასების განვითარების ანალიზი აჩვენებს, რომ 2022-2025 წლებში ფასების კლების ტენდენცია როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტირებული პროდუქტის შემთხვევაში თანაბრად ვლინდება. ადგილობრივი წარმოების პროდუქტის საშუალო ღირებულების წლიური ნაერთი კლების მაჩვენებელმა 5.2% შეადგინა, ხოლო იმპორტირებული პროდუქტის შემთხვევაში - 4.4%. იმპორტირებული პროდუქტის ფასები 2024-2025 წლებში შემცირდა როგორც მთლიან იმპორტში, ისე წამყვანი ექსპორტიორი ქვეყნების მიხედვით. ამასთანავე, აზერბაიჯანიდან და ირანიდან იმპორტირებული პროდუქტის საშუალო ფასები თურქეთის მაჩვენებელზე დაბალია, რაც ნაკლებ სავარაუდოს ხდის თურქეთიდან დემპინგური ფასებით იმპორტის განხორციელებას.

ამასთანავე, 2022-2025 წლებში გლობალურ ბაზარზე პოლიეთილენის ფასები კლებად ტენდენციას ინარჩუნებდა, რაც აისახებოდა როგორც ნედლეულის, ისე საბოლოო პროდუქტის ფასებზე. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე დაფიქსირებული ფასების კლება უფრო მეტად

შეესაბამება საერთაშორისო ბაზრის ზოგად ტენდენციებს, ვიდრე კონკრეტული ქვეყნის იმპორტით გამოწვეულ ზეწოლას.

აღსანიშნავია, რომ 2026 წელს საერთაშორისო ბაზარზე პოლიეთილენის ნედლეულის ფასების ზრდა დაფიქსირდა, რაც ძირითადად ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებით, ნავთობქიმიკატების მიწოდების ჯაჭვის შეფერხებითა და ენერგორესურსების გაძვირებით არის განპირობებული. აღნიშნული ტენდენცია სავარაუდოდ გავლენას მოახდენს საქართველოს ბაზარზეც და პოლიეთილენის მიღების ფასების ზრდის მიმართულებაზე.

საერთო შეფასებით, წარმოდგენილი მონაცემები არ მიუთითებს იმპორტის ისეთი მოცულობისა და დინამიკის არსებობაზე, რომელიც ადგილობრივი ინდუსტრიისათვის მატერიალური ზიანის ან ასეთი ზიანის წარმოშობის საფრთხის არსებობის დასკვნის საფუძველს შექმნიდა.

შესავალი

ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოქმედების შემდეგ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო პერიოდულად ახორციელებს სხვადასხვა სასაქონლო ბაზრისთვის ადგილობრივი ინდუსტრიის სექტორულ მონიტორინგს.

ანტიდემპინგური პოლიტიკის აღსრულების პროცესში სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობის ხელშესაწყობად, სააგენტომ ადგილობრივი წარმოების ინდუსტრიებში შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის საფრთხის მიმართ მოწყვლადი სექტორების იდენტიფიცირების მიზნით განახორციელა კვლევა, რომლის ფარგლებშიც შერჩეული 10 სექტორი მრავალფაქტორიანი მოწყვლადობის ანალიზის საფუძველზე შეფასდა. შერჩეული კრიტერიუმებით შეფასებული სექტორები გადანაწილდა შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ მაღალი, საშუალოზე მაღალი, საშუალო და დაბალი მოწყვლადობის კატეგორიებში.

მოცემული სექტორული მონიტორინგის მიზანია, განხორციელებული კვლევის შედეგად საშუალოზე მაღალი მოწყვლადობის სექტორის დემპინგური იმპორტისა და ზიანის საფრთხის მიმართულებით უფრო სიღრმისეული შეფასება. კვლევის შედეგად საშუალოზე მაღალი მოწყვლადობის ერთ-ერთ სექტორს პლასტმასის წარმოების მიმართულება წარმოადგენდა. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტში განხილული იქნება პლასტმასის წარმოების სექტორში ადგილობრივი ინდუსტრიის მდგომარეობა და ბაზარზე არსებული მნიშვნელოვანი ტენდენციები.

სექტორული მონიტორინგის განხორციელების ფარგლებში შერჩეული მეთოდოლოგიის შემუშავების საფუძველს კანონმდებლობით გათვალისწინებული ანტიდემპინგური შესწავლის მეთოდოლოგია წარმოადგენს. ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით განსახორციელებელი შესწავლა კომპლექსური პროცესია და იგი მოიცავს სამი ძირითადი ელემენტის დადგენას - უშუალოდ დემპინგური იმპორტის, ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანისა და დემპინგურ იმპორტსა და ინდუსტრიის ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის ანალიზს. თავის მხრივ, აღნიშნული სამი ელემენტიდან მნიშვნელოვანია ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანის დადგენა, რომელიც შესწავლის წესით განსაზღვრული 15 კრიტერიუმის შეფასების გზით ხორციელდება. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მონიტორინგი სააგენტოს ინიციატივით ადგილობრივი ინდუსტრიის განცხადებებისგან დამოუკიდებლად ხორციელდება, შეფასება ძირითადად ზიანის ინდიკატორების გამოყენებით განხორციელდება.

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში შიდა მოხმარების მიზნითაა შექმნილი. იგი ეყრდნობა სააგენტოსთვის საჯაროდ ხელმისაწვდომ და საჯარო უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას, შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს შერჩეული სექტორის სრულყოფილ შეფასებას.

შეფასების მეთოდოლოგია

სექტორული მონიტორინგის მიზნის გათვალისწინებით, შესწავლის ობიექტი და მსგავსი პროდუქტი განისაზღვრა პლასტმასის მწარმოებელი კომპანიების მიერ გაყიდული პროდუქტების სახეობებისა და ინდუსტრიაში მოქმედი ძირითადი კომპანიების საქმიანობის გათვალისწინებით. პირველ ეტაპზე დავადგინეთ, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი წარმოების მიმართულებები, შემდეგ მათი განვითარების ტენდენციების საფუძველზე შევარჩიეთ სექტორული მონიტორინგისათვის ყველაზე აქტუალური პროდუქტები.

ანგარიშში წარმოდგენილია შერჩეული პროდუქტის ბაზარზე არსებული ვითარების შეფასება, რომელიც „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების ზიანის დადგენის პრინციპებს შეესაბამება. სამართლებრივი აქტები განსაზღვრავს შესწავლის განხორციელების პროცესში, ადგილობრივ ინდუსტრიაზე მიყენებული ზიანის დადგენის ფაქტორებს, რაც მოიცავს შესწავლის ობიექტის იმპორტის მოცულობისა და ფასების დადგენას, ასევე ადგილობრივ ინდუსტრიაზე საბოლოო გავლენის შეფასებას.

სააგენტოსთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის გათვალისწინებით, აღნიშნული შეფასებისათვის გამოყენებულია 2022-2025 წლების მაჩვენებლები. წარმოდგენილ დოკუმენტში ზიანის შეფასების ანალიზი მოიცავს სამ მიმართულებას:

- პირველ ნაწილში განხილულია ადგილობრივი წარმოების პლასტმასის მიღების ბაზრის სტრუქტურა, ადგილობრივი კომპანიების მიერ მიღებული შემოსავლების ზრდის/კლების ტენდენციები. ასევე, ადგილობრივი წარმოების პროდუქტის საშუალო ღირებულების განვითარების დინამიკა.
- მეორე ნაწილში წარმოდგენილია საქართველოში პოლიეთილენის მიღების იმპორტის მაჩვენებლები, იმპორტის მოცულობის და საშუალო ღირებულების ცვლილების დინამიკა. ასევე ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნებიდან შემოტანილი პროდუქტის ტენდენციების ანალიზი.
- დოკუმენტის მესამე ნაწილში განხილულია პლასტმასის მიღების მთლიანი მოხმარება საქართველოში, მოხმარების ზრდის/კლების ტენდენციები, ასევე შედარებულია ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტის საბაზრო წილები. აღნიშნული ნაწილის მიზანია, ბაზარზე იმპორტირებული პროდუქტის მოცულობის მნიშვნელობის დადგენა და ადგილობრივ ინდუსტრიაზე გავლენების იდენტიფიცირება.
- დამატებით, ანგარიში მოიცავს საერთაშორისო ტენდენციების შეფასებას, გლობალური მიწოდების მიმართულებით არსებული განვითარებების, მსოფლიო წარმოებისა და ფასების ტენდენციების გათვალისწინებით.

დოკუმენტში გამოყენებულია შემოსავლების სამსახურიდან, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სავაჭრო პორტალიდან და სხვა წყაროებიდან მოძიებული მონაცემები.

შესწავლის ობიექტისა და მსგავსი პროდუქტის განსაზღვრა

დემპინგური იმპორტის მიმართ მოწყვლადი სექტორების იდენტიფიცირების კვლევაში სექტორულ დონეზე არსებული მონაცემებით შეფასების განხორციელების გათვალისწინებით, წარმოდგენილი სექტორული მონიტორინგის ფარგლებში შესასწავლი პროდუქტის განსაზღვრა საჭიროებს შერჩეულ ინდუსტრიაში წარმოებული პროდუქტების იდენტიფიცირებასა და სექტორისათვის მათი მნიშვნელობის დადგენას. შესაფასებელი პროდუქტის ბაზრების შერჩევა ხდება რამდენიმე წინაპირობაზე დარყდნობით, კერძოდ, ადგილობრივი წარმოების მნიშვნელოვანი მოცულობისა და სექტორში იმპორტის არსებითი მოცულობის/წილის არსებობის გათვალისწინებით.

პლასტმასის წარმოების მიმართულებით სექტორული მონიტორინგის შეფასების ფარგლებში შესაბამისი პროდუქტის შერჩევის მიზნით ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში მოცემულია, 2022-2025 წლებში, ეკონომიკური საქმიანობების სახეობების მიხედვით კომპანიების ბრუნვა (ცხრილი 1) და ასევე HS 6-ნიშნა კოდების მიხედვით იმპორტის ჯამური მაჩვენებლები (ცხრილი 2).

ცხრილი 1-დან იკვეთება, რომ ყველაზე დიდ დარგს ადგილობრივი წარმოების მიმართულებით პლასტმასის საფუთავების წარმოება წარმოადგენს, ასევე მოცულობითია პლასტმასის სამშენებლო ნაწარმის და პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოების დარგები. რაც შეეხება განვითარების ტენდენციას, სამშენებლო ნაკეთობების წარმოების სექტორში სტაბილურად მზარდი ტენდენცია ფიქსირდება, 2022-2025 წლებში 9.8% ნაერთი ზრდის მაჩვენებლით, ხოლო ფილების, ფურცლების მილებისა და პროფილების სექტორში ტენდენცია ცვალებადია, კერძოდ, წარმოება 2023 წელს 2022 წელთან შედარებით შემცირებულია, ხოლო 2024 წელს 2023 წელთან შედარებით იმატებს, თუმცა 2025 წელს ისევ იკლებს. ჯამში, 2022-2025 წლებში ბრუნვის საშუალო წლიური ნაერთი კლების მაჩვენებელია 7.7% შეადგინა. მსგავსია საფუთავების წარმოების დარგში არსებული ვითარება, რომელშიც 2022-2025 წლებში ნაერთი კლების მაჩვენებელი 7%-ია.

ცხრილი 1. ეკონომიკური საქმიანობების სახეობის მიხედვით კომპანიების ბრუნვა, 2022-2025 წლებში (ათასი ლარი)

NACE კოდი	ეკონომიკური საქმიანობის დასახელება	2022	2023	2024	2025
22.21.0	პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოება	132,008	110,518	117,752	103,798
22.22.0	პლასტმასის საფუთავების წარმოება	381,157	302,628	326,376	306,333
22.23.0	პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება	154,079	181,218	182,716	204,047
22.29.0	პლასტმასის სხვა ნაწარმის წარმოება	29,035	26,267	33,632	28,986
22.2	პლასტმასის ნაწარმის წარმოება	33,143	30,388	29,688	31,446

ადგილობრივ წარმოებასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია იდენტიფიცირებულ დარგებში იმპორტის ტენდენციების შეფასებაც. ამ მიმართულებით იკვეთება, რომ წამყვან საიმპორტო პროდუქტს პლასტმასის მილები, მილაკები, შლანგები და მათი ფიტინგები წარმოადგენს. 2022-

2025 წლებში აღნიშნული პროდუქტის იმპორტის საშუალო წლიური ნაერთი ზრდის მაჩვენებელი 8.5% იყო. 2025 წლისათვის იმპორტის ღირებულებამ 30 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. რაც შეეხება, შესაფუთი ნაწარმის დარგს გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში პლასტმასის საფუთავების მოხმარებაში, ადგილობრივი წარმოების პროდუქტის წილი მკვეთრად აღემატება იმპორტირებული პროდუქტის წილს. ამ სექტორში არსებული ტენდენციები ადგილობრივი წარმოების მნიშვნელოვან და მზარდ როლზე მიუთითებს და შესაბამისად, ნაკლებად აქტუალურია სექტორული მონიტორინგის ფარგლებში შესაფასებელი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

ცხრილი 2. HS 6 ნიშნა კოდების მიხედვით იმპორტირებული პროდუქტი, 2022-2025 წლებში (ათასი აშშ დოლარი)

HS კოდი	სასაქონლო პოზიციის დასახელება	2022	2023	2024	2025
391740	პლასტმასის მილები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები (მაგალითად, შეერთებები, მუხლები, მილტუჩები): ფიტინგები	10,646	13,155	14,046	14,273
391721	პლასტმასის მილები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები (მაგალითად, შეერთებები, მუხლები, მილტუჩები): ხისტი მილები, მილაკები და შლანგები: ეთილენის პოლიმერებისაგან	10,485	14,594	11,745	13,984
391722	პლასტმასის მილები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები (მაგალითად, შეერთებები, მუხლები, მილტუჩები): ხისტი მილები, მილაკები და შლანგები: პროპილენის პოლიმერებისაგან	8,748	10,672	10,603	11,870
391739	პლასტმასის მილები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები (მაგალითად, შეერთებები, მუხლები, მილტუჩები): დანარჩენი მილები, მილაკები და შლანგები: დანარჩენი	6,388	7,849	7,135	7,152
391723	პლასტმასის მილები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები (მაგალითად, შეერთებები, მუხლები, მილტუჩები): ხისტი მილები, მილაკები და შლანგები: ვინილქლორიდის პოლიმერებისაგან	4,399	5,149	4,447	4,306
სხვა		5,372.00	5,881.20	7,919.62	5,229.09

ზემოთხსენებულ ცხრილებში წარმოდგენილი მონაცემების გათვალისწინებით, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია სექტორული მონიტორინგის ფარგლებში პლასტმასის მილების, მილაკების და შლანგებისა და მათი ფიტინგების წარმოების ქვესექტორზე კონცენტრირება, რაც ერთი მხრივ განპირობებული იყო 2022-2025 წლებში ადგილობრივი კომპანიების ბრუნვის უარყოფითი ტენდენციის, ხოლო მეორე მხრივ დარგში იმპორტის მნიშვნელობის გათვალისწინებით.

იდენტიფიცირებული ქვესექტორიდან შესაბამისი პროდუქტის განსაზღვრის მიზნით სააგენტომ შეისწავლა ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისი კოდით გათვალისწინებული

კომპანიების საქმიანობა და დაადგინა რომ პლასტმასის მილების წარმოება წამყვანია ამ მიმართულებით.

ადგილობრივი კომპანიები აწარმოებენ პოლიეთილენის (PE, HDPE), პოლიპროპილენის (PP), პოლივინილქლორიდის (PVC) მილებს (ხისტი, დრეკადი, გლუვი, გოფრირებული) და ფიტინგებს, ასევე სხვა დანიშნულების პროდუქციას (პოლიეთილენის პარკები, ფირები, საფუთავი მასალა, კონტეინერები, სარწყავი ლენტები, ტომრები). ლითონის მილებისაგან განსხვავებით, პლასტმასის მილებს ახასიათებთ მოქნილობა - ადვილად იღუნება და არ სკდება, რაც ამარტივებს მონტაჟს რთულ რელიეფზე. ასევე, აღნიშნული პროდუქტისათვის დამახასიათებელია კოროზიისადმი გამძლეობა, ქიმიური მდგრადობა, გლუვი შიდა ზედაპირი, მსუბუქი წონა, ხანგრძლივი ექსპლუატაცია და ჰერმეტიულობა.

პლასტმასის მილები თავად მასალის გარდა, განსხვავდებიან მახასიათებლებითა და დანიშნულებით, კერძოდ, ისინი გამოიყენება წყლის სისტემებში (სასმელი წყლის მიწოდება, სარწყავი სისტემები), გაზის მიწოდების, კანალიზაციისა და დრენაჟის სისტემებში (ნარჩენი წყლების გადინება, სანიაღვრე არხები, წვიმის წყლის და გრუნტის წყლების არინების სისტემები), ასევე საკაბელო არხების მიმართულებით (ელექტრო და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების დაცვა).

მილების ფიზიკური მახასიათებლებია დიამეტრი (DN, DN-ID), კედლის სისქე (SDR), გამძლეობა შიდა წნევის მიმართ (PN), გამძლეობა გარე წნევის მიმართ (SN).

მილის დიამეტრი (DN, DN-ID) დანიშნულების მიხედვით ვარირებს 20 მმ-დან 1600 მმ-მდე, კედლის სისქე (SDR) შეიძლება იცვლებოდეს 1მმ-დან 60 მმ-მდე. რაც უფრო სქელია კედელი, მით უფრო მაღალ წნევას უძლებს მილი. შიდა წნევის დიაპაზონია PN6-დან PN25-მდე, გარე წნევის დიაპაზონი - SN4-დან SN16-მდე.

პოლიეთილენის მილები (DN20 მმ-დან DN630 მმ-მდე, PN6-დან PN25-მდე) გამოიყენება წყლისა და გაზომომარაგების სისტემებში.

პოლიპროპილენის მილები გამოიყენება ცივი (DN20 მმ-დან DN125 მმ-მდე, PN10-დან PN20-მდე) და ცხელი (DN20 მმ-დან DN125 მმ-მდე, PN20-დან PN25-მდე) წყლით მომარაგების სისტემებში. მათი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ შიდა გაყვანილობის წყლის სისტემაში და განკუთვნილია გრძელვადიანი გამოყენებისთვის.

გოფრირებული მილები გამოიყენება საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებისთვის (DN100 მმ-დან DN1600 მმ-მდე, SN4-დან SN16-მდე). საკაბელო გოფრირებული მილები (DN40 მმ-დან DN110 მმ-მდე) გამოიყენება ელექტროინფრასტრუქტურის დასაცავად.

პოლივინილქლორიდის მილების წარმოება საქართველოში ნაკლებადაა გავრცელებული. ისიც გამოიყენება წყლის სისტემებში, საკანალიზაციო და დრენაჟის სისტემებში, ელექტროინფრასტრუქტურაში, სანტექნიკისა და სავენტილაციო სისტემებში. პოლიეთილენის მილებთან შედარებით, პოლივინილქლორიდის მილები უფრო მყარია, მაგრამ ნაკლებად მოქნილი და უკეთესია სტაციონარული სისტემებისათვის.

რაც შეეხება საქართველოში იმპორტირებულ პლასტმასის პროდუქციას, სეს ესნ ნომენკლატურა 39-ე ჯგუფში აღწერს პლასტმასებს და მათ ნაწარმს, კონკრეტულად პლასტმასის

მილები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები (მაგალითად, შეერთებები, მუხლები, მილტუჩები) განეკუთვნება 3917 ქვეჯგუფს. 2022-2025 წლების იმპორტი აღნიშნული ქვეჯგუფიდან მოიცავს სეს ესნ ნომენკლატურით განსაზღვრულ 31 სასაქონლო პოზიციას

ჩვენი შესწავლის ფარგლებში განვიხილავთ HS 6-ნიშნა კოდებით იმპორტირებულ შემდეგ საქონელს:

391721 - პლასტმასის მილები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები (მაგალითად, შეერთებები, მუხლები, მილტუჩები): ხისტი მილები, მილაკები და შლანგები: ეთილენის პოლიმერებისაგან;

391722 - პლასტმასის მილები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები (მაგალითად, შეერთებები, მუხლები, მილტუჩები): ხისტი მილები, მილაკები და შლანგები: პროპილენის პოლიმერებისაგან;

391723 - პლასტმასის მილები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები (მაგალითად, შეერთებები, მუხლები, მილტუჩები): ხისტი მილები, მილაკები და შლანგები: ვინილქლორიდის პოლიმერებისაგან.

რაც შეეხება ცხრ. N3-ში მოყვანილ მონაცემებს, 391740 კოდით განსაზღვრულია პლასტმასის ფიტინგების იმპორტი, თუმცა ადგილობრივ წარმოებაში ფიტინგების მოცულობა მილების მოცულობასთან შედარებით მცირეა, ამდენად უფრო რელევანტურია მილების იმპორტის განხილვა, ხოლო 391739 კოდით განსაზღვრულ პროდუქციაში (პლასტმასის მილები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები (მაგალითად, შეერთებები, მუხლები, მილტუჩები): დანარჩენი მილები, მილაკები და შლანგები: დანარჩენი) ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია არ იძლევა მასალის ზუსტად იდენტიფიცირების საშუალებას.

პლასტმასის მილები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები (მაგალითად, შეერთებები, მუხლები, მილტუჩები): ხისტი მილები, მილაკები და შლანგები შედის ასევე 391729, 391731, 391732, 391733, 391739 კოდებში, თუმცა ამ კოდებით იმპორტირებული პოლიეთილენის, პოლიპროპილენისა და პოლივინილქლორიდის მილების რაოდენობა ძალიან მცირეა: 2022 წელს 35,736 აშშ დოლარის, 2023 წელს - 144,140 აშშ დოლარის, 2024 წელს - 41,893 აშშ დოლარის და 2025 წელს - 9,708 აშშ დოლარის მოცულობით.

პლასტმასის მიღების ადგილობრივი ინდუსტრია

წარმოდგენილ თავში განხილულია საქართველოში პლასტმასის მიღების მწარმოებლების გაყიდვების მაჩვენებლები 2022-2025 წლებში. შეფასებულია, როგორც ინდუსტრიის მთლიანი მაჩვენებლები, ასევე კომპანიების მიხედვით გაყიდული პროდუქტის მახასიათებლები და პროდუქტის კატეგორიების მიხედვით განხორციელებული გაყიდვების ტენდენციები.

პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ წინა თავში წარმოდგენილი ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული კლასიფიკატორის 22.21 კოდით რეგისტრირებული კომპანიების ბრუნვები მოიცავს, როგორც პლასტმასის მიღების, ასევე კომპანიების მიერ წარმოებული სხვა პროდუქტის გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსაც. შესაბამისად, ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია კონკრეტულად მიღების რეალიზაციით მიღებულ შემოსავალზე.

2025 წლის მაჩვენებლებით ადგილობრივი წარმოების პლასტმასის მიღების რეალიზაციას 12 კომპანია ახორციელებდა, მათ შორის 3 საშუალო და დანარჩენი მცირე ზომის არის. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ პლასტმასის მიღების წარმოების ინდუსტრია მაღალ-კონცენტრირებულია. 3 წამყვანი კომპანიის წილი ბაზრის მთლიან გაყიდვებში 80%-ს, 5 კომპანიის წილი კი 86%-ს შეადგენს.

2022-2025 წლებში, ადგილობრივი წარმოების პლასტმასის მიღების გაყიდვების ყოველწლიური ნაერთი კლების მაჩვენებელმა 5% შეადგინა. ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივი კომპანიების მიერ რეალიზებული პროდუქტიდან მიღებული შემოსავლების დინამიკა ცვალებადია წლების მიხედვით. კლების ტენდენცია 2022-2023 წლებში ფიქსირდება, შემდგომ 2023-2024 წლებში კი მთლიანი გაყიდვების მაჩვენებლები მზარდია. რაც შეეხება 2024-2025 წლებში არსებულ ვითარებას, მკვეთრად არის შემცირებული პლასტმასის მიღების გაყიდვით მიღებული კომპანიების შემოსავლები. 2025 წელს, მთლიანი ბაზრისათვის კლების მაჩვენებელმა 16% შეადგინა. ამასთანავე ხაზგასასმელია, რომ კლების ტენდენცია ერთი კომპანიის გარდა, ბაზარზე ყველა შედარებით მნიშვნელოვან მწარმოებელს უფიქსირდება.

ცხრილი 3. 2022-2025 წლებში ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ პლასტმასის მიღების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები (ათასი ლარი, დღგ-ს ჩათვლით)

	2022	2023	2024	2025	CAGR
სულ	92,709	86,163	94,668	79,758	-5%
მპს თერმილი					
მპს კავკას პლასტი					
მპს პოლიმერ 1					
მპს პოლიმერ პლასტი					
მპს ქართული მილი					


პლასტმასის მიღების ბაზარზე არსებული ვითარების შეფასების მიზნით, ასევე, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით არსებული წამყვანი კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქტის მახასიათებლების დადგენა. ადგილობრივი მწარმოებლები ძირითადად სასმელი წყლისა და გაზის და საკანალიზაციო და სანიღვრე სისტემების პოლიეთილენის მიღებს

აწარმოებენ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ , ის კომპანია, რომლის გაყიდვებიც სტაბილურად მზარდია, კონცენტრირებულია პოლიპროპილენის მიწების წარმოებაზე.

სააგენტოს მიერ შემოსავლების სამსახურის ბაზიდან მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ ადგილობრივი წარმოების 85%-ზე მეტი პოლიეთილენით წარმოებულ პროდუქტს მოიცავს. რაც შეეხება პოლიპროპილენის და პოლივინილქლორიდისგან წარმოებულ მიწებს, მათი წილი შესაბამისად 10%-სა და 3%-ს უტოლდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ საქართველოში პლასტმასის მიწების ბაზრის შეფასება ძირითადად პოლიეთილენის მიწებს მოიცავს.

2025 წელს, პოლიეთილენის მიწების გაყიდვების მაჩვენებელი, მიწების მთლიან რეალიზაციაში 86% შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 2024 წლის მაჩვენებელთან შედარებით 4%-ით არის შემცირებული.


გრაფიკი 1. პოლიეთილენის და დანარჩენი მიწების გაყიდვები 2022-2025 წლები (ლარი, დღეს ჩათვლით)



ადგილობრივი მწარმოებლების გაყიდვები სასმელი წყლისა და გაზის პოლიეთილენის მიწების მიმართულებით ძირითადად კონცენტრირებულია PN10, PN16 და PN6 სტანდარტის მიწებზე, რაც შიდა წნევის დიაპაზონს განსაზღვრავს. PN10 სტანდარტის მიწები გამოიყენება სასმელი წყლის, საშუალო წნევის საირიგაციო და დაბალი წნევის გაზსადენებისთვის. PN16 გამოიყენება მაღალი წნევის წყალმომარაგებასა და მაღალი წნევის გაზსადენებისთვის, ასევე სამთო-მოპოვებით მრეწველობაში. ხოლო PN6-ს ძირითად დანიშნულებას დაბალი წნევის სისტემები წარმოადგენს, მაგალითად საკანალიზაციო და სადრენაჟე ან სარწყავი სისტემები.


რაც შეეხება სანიაღვრე და საკანალიზაციო გოფრირებულ მიწებს, ამ შემთხვევაში, ადგილობრივ ბაზარზე გავრცელებულია SN8 და SN4 კატეგორიის მიწები. მოცემული კლასი აღნიშნავს მილის გამძლეობას გარე წნევის მიმართ, რაც მნიშვნელოვანია მიწისქვეშა სანიაღვრე სისტემებისათვის. SN8 განკუთვნილია საშუალო დატვირთვისათვის, ისეთ ადგილებში, როგორც არის ქალაქის გამზირების ან ინდუსტრიული ზონები. SN4 გამოიყენება მცირე დატვირთვის მქონე გარემოში, როგორცაა კერძო ეზოები ან სოფლის გზები. როგორც გრაფიკი 2-ის მიხედვით იკვეთება, გაყიდული პროდუქტის ჯამურ ღირებულებაში 33% PN10 კლასის მიწებზე მოდის, 28% - უფრო მაღალი გამძლეობის წყალმომარაგების სფეროში გამოყენებული PN16 კლასის მიწებზე.

გრაფიკი 2. პოლიეთილენის მილები კატეგორიების მიხედვით, 2025 წელი



ამასთანავე ხაზგასასმელია, რომ წარმოდგენილი კატეგორიები თავის მხრივ მნიშვნელოვნად განსხვავდება დიამეტრისა და მათი დანიშნულების მიხედვით. სანიაღვრე და საკანალიზაციო გოფრირებული მილების დიამეტრი 63 მმ-დან 1400 მმ-მდე მერყეობს, ხოლო სასმელი წყლისა და გაზის პოლიეთილენის მილები - 16 მმ-დან 630 მმ-მდე. ადგილობრივი მწარმოებლების მიერ რეალიზებული პროდუქტის კატეგორიებისა და დიამეტრის მიხედვით შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა პოლიეთილენის მილების 200-მდე სახეობა. მე-3 გრაფიკში წარმოდგენილია რამდენიმე ძირითადი სახეობის მილის საშუალო ღირებულება 2025 წელს. როგორც მოცემული გრაფიკის მიხედვით იკვეთება, პროდუქტის ღირებულებაზე გავლენას ახდენს როგორც მისი დიამეტრი, ასევე გამძლეობის სტანდარტი. მაგალითისათვის, შედარებით დაბალია PN10 კლასის მილების პროდუქციის ფასი. PN10 კლასის 160 მმ-იანი დიამეტრის პოლიეთილენის მილის საშუალო ღირებულება ერთ მეტრზე 27.5 ლარს შეადგენს, მაშინ როდესაც მსგავსი დიამეტრის PN16 კლასის მილის ღირებულება 38 ლარია.

გრაფიკი 3. ადგილობრივი წარმოების მილების საშუალო ფასები სახეობების მიხედვით, 2025 წელი (მეტრი, ლარი)




იმის გათვალისწინებით, რომ პოლიეთილენის მილების ფასები მკვეთრად განსხვავდება მათი კატეგორიების, მოხმარების დანიშნულებისა და დიამეტრის მიხედვით, ამ მიმართულებით ბაზარზე არსებული ტენდენციების დადგენის მიზნით, პირველ რიგში აუცილებელია ძირითადი მწარმოებელი კომპანიების მიერ გაყიდული პროდუქტის შესაფასებელი კატეგორიების შერჩევა.

ამ მიზნით შევარჩიეთ კომპანიები, რომლებიც ჯამურად ადგილობრივი პოლიეთილენის მილების მოხმარების 85%-ს ფარავს. შემოსავლების სამსახურის ბაზიდან მოძიებული მონაცემების გამოყენებით ფასების განვითარების ტენდენციის შეფასების მიზნით შევარჩიეთ 5 სახეობის პროდუქტი. იმის გათვალისწინებით, რომ მილების სტანდარტი და დიამეტრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ფასებზე, მიზანშეუწონლად მივიჩნიეთ მხოლოდ გაყიდული მილების რაოდენობის ან ღირებულების მიხედვით ძირითადი საქონლის შერჩევა. შესაბამისად, შესაფასებელი პროდუქტის შერჩევისათვის გამოვიყენეთ, როგორც კომპანიების მიერ გაყიდული პროდუქტის რაოდენობის და ღირებულების, ასევე, თითოეული კომპანიის შემთხვევაში - პროდუქტის გაყიდვის კრიტერიუმი. ამასთანავე, პროდუქტის სახეობების წარმომადგენლობითობის უზრუნველსაყოფად, შევარჩიეთ 2-2 პროდუქტი PN10 და PN16 კატეგორიის საქონლიდან და დამატებით ერთი პროდუქტი SN8 კატეგორიიდან. საბოლოოდ შერჩეული პროდუქტების მაჩვენებლები წარმოდგენილია მე-4 გრაფიკში.

2025 წლის განმავლობაში PN10 კატეგორიის 110 მმ-იანი მილი კომპანიების გაყიდვების მოცულობის 5%-ს მოიცავდა და საშუალო ღირებულებამ 12.9 ლარამდე შეადგინა. ასევე 5%-ია PN16 კლასის 40მმ-იანი მილის წილი კომპანიების გაყიდვებში. რაც შეეხება PN10 კატეგორიის 63 მმ-იან და PN16 კატეგორიის 25მმ-იანი მილებს, მათი წილი გაყიდული პროდუქტის მოცულობის 6%-ია. შედარებით დაბალია SN8 კატეგორიის მილის წილი მთლიან მოცულობაში და 2%-ს შეადგენს.

გრაფიკი 4. შერჩეული პროდუქტების გაყიდვების მაჩვენებლები, 2025 წელი




პოლიეთილენის მილების ბაზარზე ფასების განვითარების მიმართულებით არსებული ტენდენციების დადგენის მიზნით მე-5 გრაფიკში წარმოდგენილია შერჩეული კომპანიების მიერ გაყიდული შესაბამისი სახეობის მილების საშუალო ღირებულება თვეების მიხედვით. 2022-2025 წლებში, შერჩეული ხუთი პროდუქტის შემთხვევაში ვლინდება საშუალო ფასის კლების ტენდენცია. აღნიშნულ პროდუქტებს შორის ყველაზე მცირე კლება, 2022-2025 წლების საშუალო ფასების შედარებისას, 200მმ-იანი SN8 კატეგორიის მილების ფასების შემთხვევაში ფიქსირდება. PN10-ის კატეგორიის 110 მმ-იანი და 63მმ-იანი მილების შემთხვევაში იკვეთება ყოველწლიური კლების ტენდენცია. PN16-ის კატეგორიის 25 მმ-იანი მილების შემთხვევაში მკვეთრი კლება ვლინდება 2022-2023 წლებში (1.4 ლარიდან-1.1 ლარამდე). 2024 წელს პროდუქტის ფასის მცირე ზრდის მიუხედავად, კლების ტენდენცია კვლავ შენარჩუნებულია 2025 წელსაც. PN16-ის

კატეგორიის 40 მმ-იანი მილების შემთხვევაშიც, 2022-2023 წლებში ფასის შემცირების შემდეგ, ფასების დონე შედარებით დასტაბილურებულია.

ყოველთვიური ფასების ანალიზი მიუთითებს, რომ ფასებისათვის დამახასიათებელია მოკლევადიანი რყევები, რომლებიც ძირითად კლების ტენდენციას მიყვება. PN10-ის 110მმ-იანი მილების საშუალო ფასის დიაპაზონი 12.3 ლარიდან 16.9 ლარამდე მერყეობს, ხოლო ყოველთვიური ცვლილების დიაპაზონი -10%-დან +14%-მდეა. PN10-ის 63მმ-იანი მილების საშუალო ფასის დიაპაზონი 3.9 ლარიდან 5.7 ლარამდე მერყეობს, ყოველთვიური ცვლილების დიაპაზონი კი -7%-დან +11%-მდეა. PN16-ის 25მმ-იანი მილების საშუალო ფასი 1 ლარიდან 1.5 ლარამდე მერყეობს, ყოველთვიური ცვლილების დიაპაზონი კი -15%-დან 21%-მდეა. PN16-ის 40მმ-იანი მილების საშუალო ფასისათვის, ასევე დამახასიათებელია მაღალი რყევები. SN8 კატეგორიის 200მმ-იანი მილის ფასის ცვლილება თვეების მიხედვით შედარებით დაბალია და $\pm 10\%$ -ს შეადგენს. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ყოველთვიური ფასების მოკლევადიანი რყევების მიუხედავად, ეს ცვლილებები ფასების კლებადი ტენდენციის ფონზე მიმდინარეობს.

გრაფიკი 5. შერჩეული სახეობის პოლიეთილენის მილების საშუალო ფასი თვეების მიხედვით, 2022-2025 წელი (მეტრი, ლარი)



როგორც უკვე აღინიშნა, 2022-2025 წლებში, შეფასებული პროდუქტის ღირებულება სტაბილურად კლებადია. 4 პროდუქტის შემთხვევაში დაფიქსირებულია შედარებით მაღალი 6-9%-მდე წლიური ნაერთი კლების მაჩვენებელი. შერჩეული პროდუქტის ღირებულების ცვლილების ტენდენცია მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბაზარზე ადგილობრივი მწარმოებლების გაყიდვების კლებასთან ერთად, კლებადია გაყიდული პროდუქტის საშუალო ღირებულებაც.

ასევე საინტერესოა 2024-2025 წლების პერიოდში ფასების განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, იმის გათვალისწინებით, რომ ამ პერიოდში გამოიკვეთა ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების კლების მაჩვენებელი. ამ პერიოდში ფასების კლების ტენდენცია, ასევე ვლინდება ზემოთ ხსენებულ 4 პროდუქტის შემთხვევაში. წარმოდგენილი პროდუქტების

ღირებულების კლების ტენდენცია, პოლიეთილენის მილების ბაზარზე პროდუქტის ფასების შემცირებაზე მიუთითებს.

ცხრილი 4. პროდუქტის სახეობების მიხედვით საშუალო ფასის ყოველწლიური ნაერთი ზრდის/კლების მაჩვენებელი (მეტრი, ლარი)


პროდუქტი	2022	2023	2024	2025	CAGR
PN10 - 110mm	16.2	14.8	13.4	12.9	-7.3%
PN10 - 63mm	5.4	4.9	4.7	4.3	-7.6%
PN16 - 25mm	1.4	1.1	1.2	1.1	-8.7%
PN16 - 40mm	3.4	2.9	2.9	2.8	-6.6%
SN8 - 200mm	14.0	13.5	13.4	13.4	-1.3%

პლასტმასის მილების იმპორტი

მოცემულ თავში განხილულია პლასტმასის მილების იმპორტის მაჩვენებლების და არსებული ტენდენციების შეფასება. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი კომპანიების საქმიანობის შესწავლის შედეგად, საქართველოში პოლიეთილენის მილების წარმოების მიმართულების პრიორიტეტულობა გამოიკვეთა, იმპორტის ანალიზიც კონცენტრირებულია პოლიეთილენის მილებზე და ძირითადად მოიცავს 391721 HS 6-ნიშნა კოდით იმპორტირებულ საქონელს.

391721 კოდიდან შევარჩიეთ მხოლოდ პოლიეთილენის მილები, რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადგილობრივ წარმოებაში ფიტინგების მოცულობა მილების მოცულობასთან შედარებით მცირეა. მე-6 გრაფიკში წარმოდგენილია შეფასებისათვის გამოყენებული ტრანზაქციების წილი, შერჩეული კოდით იმპორტირებულ მთლიან პროდუქტში. წარმოდგენილი მაჩვენებლები აღნიშნული კოდით იმპორტირებულ საქონელში ფიტინგების წილის ძალიან დაბალ მაჩვენებელზე მიუთითებს.


გრაფიკი 6. პოლიეთილენის მილების წილი 391721 კოდის პროდუქციის საერთო იმპორტის რაოდენობაში, 2022-2025 წწ.



ჩვენს ხელთ არსებული, შემოსავლების სამსახურის ბაზებიდან მოძიებული მონაცემები არ იძლევა იმპორტირებული პროდუქციის კლასიფიკაციის საშუალებას მისი სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით, როგორცაა მილის დიამეტრი (DN, DN-ID), კედლის სისქე (SDR), შიდა წნევისა (PN) და გარე წნევის (SN) გამძლეობა, რის გამოც იმპორტის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ წონისა და ღირებულების მიხედვით.

წლების მიხედვით იმპორტის მოცულობა ცვალებადია როგორც წონის, ასევე ღირებულების მიხედვით (გრ. 7). 2023 წელს იმპორტი იზრდება 2022 წელთან შედარებით, 2024 წელს მცირდება, 2025 წელს ისევ იზრდება. ამასთან, ყოველწლიური ნაერთი ზრდა 2022-2025 წლებში შეადგენს წონის მიხედვით 15%-ს, ხოლო თანხის მიხედვით - 10%-ს.


გრაფიკი 7. პოლიეთილენის მილების იმპორტის დინამიკა, 2022-2025 წლებში



2022-2025 წლებში განსახილველი პროდუქციის იმპორტი საქართველოში ხორციელდებოდა 35 ქვეყნიდან, ძირითადად თურქეთიდან (67%), აზერბაიჯანიდან (11%) და იტალიიდან (10%). გარკვეული მოცულობის პროდუქცია შემოდიოდა სომხეთიდან (4%), ჩინეთიდან (3%) და ირანიდან (3%). დანარჩენი 32 ქვეყნიდან შემოვიდა იმპორტის საერთო ღირებულების 12%. 2025 წელს, იმპორტი ხორციელდებოდა 19 ქვეყნიდან, სადაც პირველ სამეულს ისევ შეადგენს თურქეთი (62.9%), აზერბაიჯანი (10%) და იტალია (10%), დანარჩენი 16 ქვეყნიდან შემოვიდა იმპორტის საერთო ღირებულების 17.1% (გრ. 8).

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ წამყვანი ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქტის რაოდენობის მიხედვით შეფასებისას, სამეულში იტალიას ირანი ანაცვლებს, მთლიან იმპორტში 9%-იანი წილით. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ იტალიიდან შედარებით მცირე რაოდენობის მაღალფასიანი პროდუქტი, ხოლო ირანიდან შედარებით დიდი რაოდენობის, თუმცა დაბალფასიანი პოლიეთილენის მილები შემოდის.

გრაფიკი 8. იმპორტის განაწილება ექსპორტიორი ქვეყნების მიხედვით, 2025 წელი



2022-2025 წლებში იმპორტის განაწილება სამი წამყვანი ექსპორტიორი ქვეყნის მიხედვით უცვლელია, წილების მცირეოდენი მერყეობით. უპირობო ლიდერი ქვეყნიდან, თურქეთიდან განხორციელებული იმპორტი, 2023 წელს, როგორც რაოდენობრივი, ასევე თანხობრივი მოცულობით მკვეთრად აჭარბებს 2022 წლის მონაცემებს. თურქეთიდან 2023 წელს იმპორტირებული მიწების რაოდენობა 80%-ით აღემატებოდა წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. 2024 წელს ეს მაჩვენებელი შემცირებულია 11.5%-ით, ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ კლების მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია იმპორტირებული საქონლის მთლიანი ღირებულების შედარებისას. 2023-2024 წლებში იმპორტირებული საქონლის ღირებულება 24.4%-ით არის შემცირებული, რაც პროდუქტის საშუალო ფასის კლებაზეც მიუთითებს. 2025 წელს იკვეთება იმპორტის ზრდის ტენდენცია და წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით იმპორტი 6.5%-ით არის მომატებული. 2022-2025 წლებში, როგორც მოცულობით, ასევე ღირებულებით თურქეთიდან პოლიეთილენის მიწების იმპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2023 წელს დაფიქსირდა.

რაც შეეხება ექსპორტიორი ქვეყნის წილს მთლიან იმპორტში, მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლისა და 2025 წლის მაჩვენებლების შედარებისას იკვეთება წილის ზრდა, 2025 წელს, თურქეთის 67%-იან წილთან შედარებით მკვეთრად მაღალი, 80%-იანი მაჩვენებელი 2023 წელს დაფიქსირდა. შესაბამისად, 2023-2025 წლებში გამოკვეთილია თურქეთიდან იმპორტირებული საქონლის ბაზარზე მნიშვნელობის კლების ტენდენცია, როგორც რაოდენობრივად, ასევე ღირებულების ნაწილში.

მომდევნო მსხვილი იმპორტიორის - აზერბაიჯანიდან იმპორტირებული საქონლის რაოდენობა 2022 წელთან შედარებით 2023 წელს მკვეთრად, 51.1%-ით შემცირდა. ასევე მნიშვნელოვანი 40.1%-იანი კლება გამოიკვეთა იმპორტირებული საქონლის ღირებულების მიმართულებითაც. აღსანიშნავია, 2024 წელს იმპორტირებული საქონლის რაოდენობის ზრდის (+10%) მიუხედავად, იმპორტის ღირებულება კვლავ შემცირდა 10%-ით. 2025 წელს 2024 წელთან შედარებით მკვეთრად იმატებს იმპორტირებული საქონლის რაოდენობაც და ღირებულებაც, თუმცა 2022-2025 წლების მაჩვენებლების შედარებისას იკვეთება აზერბაიჯანიდან იმპორტირებული საქონლის რაოდენობის 11%-იანი კლების მაჩვენებელი.


ასევე საინტერესოა აზერბაიჯანიდან იმპორტირებული საქონლის საერთო იმპორტში წილის დინამიკაც. როგორც რაოდენობრივი, ასევე თანხობრივი მაჩვენებლებით, თურქეთისგან

განსხვავებით, 2022 წელთან შედარებით (25.6% და 19.6%) 2023 წელს მნიშვნელოვნად იკლებს (9% და 8%). მომდევნო წლებში იმპორტის მოცულობის ზრდის მიუხედავად, აზერბაიჯანიდან იმპორტირებული საქონლის რაოდენობა მთლიან იმპორტში მხოლოდ 12%-ს შეადგენს.

2022-2025 წლებში, ასევე შემცირებულია იტალიიდან იმპორტირებული საქონლის რაოდენობა და ღირებულება. იტალიიდან იმპორტირებული საქონლის იმპორტში წილის დინამიკა იმეორებს იმპორტის აბსოლუტური მაჩვენებლების ტრენდს, კერძოდ: 2022 წელს მთლიანი იმპორტის მოცულობაში 6%-იანი წილიდან, 2025 წლისათვის 3%-მდე მცირდება. ღირებულების მიხედვით შეფასებისას, იკვეთება, რომ ქვეყნის წილი მთლიან იმპორტში, 2022 წელს დაფიქსირებული 14%-დან, 2025 წლისათვის 10%-მდე შემცირებული.

დამატებით საინტერესოა ირანიდან იმპორტირებული საქონლის დინამიკის განხილვა. აღნიშნული ქვეყნიდან იმპორტის მაჩვენებლები 2024 წლიდან იწყებს ზრდას, რის შედეგადაც 2024 წელს იმპორტის მოცულობის 3%-იანი წილიდან 2025 წლისათვის 9%-მდე იზრდება.

გრაფიკი 9. იმპორტის დინამიკა ქვეყნებისა და პროდუქტის რაოდენობის (ტონა) მიხედვით, 2022-2025 წწ.



რაც შეეხება იმპორტირებული საქონლის საშუალო ფასს, ისევე, როგორც მთლიანი იმპორტისთვის, ასევე ლიდერი სამივე ქვეყნისთვის შეინიშნება მსგავსი ტენდენციები მცირეოდენი ვარიაციებით: 2023 წელს 2022 წელთან შედარებით იმპორტირებული საქონლის საშუალო ფასი (აშშ დოლარი/ტონა) ოდნავ იმატებს, თუმცა 2024-2025 წლებში იკლებს. 2022-2025 წლებში იმპორტირებული საქონლის საშუალო ღირებულება ტონაზე 285 აშშ დოლარით არის შემცირებული.

თურქეთიდან იმპორტირებული საქონლის ფასი 2022 წელთან შედარებით, 2023 წლისათვის მცირედი ზრდის შემდეგ იკლებს 2024-2025 წლებში. 2022-2025 წლებში თურქეთიდან იმპორტირებული საქონლის ღირებულების ნაერთი კლების მაჩვენებელმა 5% შეადგინა და 2,150 აშშ დოლარიდან 1,849 აშშ დოლარამდე შემცირდა.


აზერბაიჯანიდან იმპორტირებული საქონლის შემთხვევაში ფასის მკვეთრი ზრდა 2023 იკვეთება, ამ პერიოდში მკვეთრად შემცირდა აღნიშნული ქვეყნიდან საქონლის იმპორტის მაჩვენებლები. 2023 წელს იმპორტირებული საქონლის საშუალო ღირებულებამ 2,172 აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2025 წლისათვის ეს მაჩვენებელი 1,674 აშშ დოლარამდე შემცირდა.

იტალიიდან იმპორტირებული საქონლის საშუალო ფასი, თურქეთისა და აზერბაიჯანიდან იმპორტირებული საქონლის საშუალო ფასს თითქმის სამჯერ აღემატება. იტალიიდან

იმპორტირებული საქონლის ფასი მიყვება ბაზარზე არსებულ ტენდენციებს, თუმცა 2025 წელს სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით იკვეთება ფასის ზრდის ტენდენცია.

ყველაზე დაბალფასიანი პროდუქტი საქართველოში ირანიდან შემოდის. 2025 წელს პროდუქტის საშუალო ღირებულებამ ტონაზე 1,376 აშშ დოლარი შეადგინა, რაც 30%-ით დაბალი მაჩვენებელია მთლიანი იმპორტის საშუალო ფასთან შედარებით. 2024 წელს ირანიდან იმპორტირებული პროდუქტის საშუალო ღირებულებამ 1,080 დოლარი შეადგინა.

გრაფიკი 10. იმპორტის საშუალო ფასის (აშშ დოლარი/ტონა) დინამიკა 2022-2025 წწ



იმპორტირებული პოლიეთილენის მიღების საშუალო ფასის შეფასებისას, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ თურქეთიდან იმპორტირებული საქონლის ფასი აღემატება, როგორც აზერბაიჯანული, ასევე ირანული პროდუქტის საშუალო ღირებულებას.


რაც შეეხება იმპორტიორ სუბიექტებს, აღსანიშნავია, რომ 2022-2025 წლებში განხორციელებული იმპორტი საკმაოდ დივერსიფიცირებულია, პირველი ათეულის წილი საერთო მოცულობის 44%-ს შეადგენს.

ცხრილი 5. იმპორტი 2025 წელს იმპორტიორი კომპანიების მიხედვით

იმპორტიორი კომპანია	იმპორტის რაოდენობა (ტონა)	იმპორტის მოცულობა (ათასი აშშ დოლარი)	წილი %
ავეს ფილიალი			
შპს "გზა"			
შპს "გლობალ ინდუსტრი სოლუშენ"			
შპს "იდეა ინდუსტრია"			
შპს "მაქსთერმი"			
Mbd Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi			
შპს "ნოვა"			
შპს "სიბელ თერმი"			
სს "ქებული კლიმატი"			
შპს "ჯორჯიან ვოთერ ენდ პაუერი"			
დანარჩენი			

ასევე საინტერესოა ფასების განაწილება დიაპაზონის მიხედვით. რადგანაც იმპორტირებული საქონლის ფასები საკმაოდ გაბნეულია, ისინი დავაჯგუფეთ გარკვეული შუალედებით, რამაც გამოავლინა, რომ იმპორტირებული საქონლის ფასი უმეტესად ვარირებს 1000 აშშ დოლარი/ტონიდან 2300 აშშ დოლარი/ტონამდე ფარგლებში, რაც 2025 წლის განმავლობაში მოიცავს იმპორტის საერთო რაოდენობის 83%-ს რაოდენობის თვალსაზრისით (გრ. 11). ასევე ხაზგასასმელია, რომ მთლიანი იმპორტის რაოდენობის 18%-ის ღირებულება ტონაზე 1500-1600 დოლარის ფარგლებში მერყეობდა.

გრაფიკი 11. იმპორტის რაოდენობის (ტონა) განაწილება ფასების (აშშ დოლარი/ტონა) მიხედვით, 2025 წ.




დამატებით, ხაზგასასმელია, რომ 391721 HS 6-ნიშნა კოდის შესაბამისი პროდუქციის გარდა პლასტმასის მილები შემოდის 391739¹ HS 6-ნიშნა კოდითაც, სადაც პოლიმერის სახეობა დაკონკრეტებული არ არის, თუმცა ამ კოდით იმპორტის მოცულობის გათვალისწინებით, საჭიროდ მიგვაჩნია მისი მოკლე მიმოხილვა. აქაც, ისევე როგორც 391721 კოდის შემთხვევაში პროდუქციის ძირითად ნაწილს შეადგენს მილები. 2025 წლის განმავლობაში წარმოდგენილი კოდით იმპორტირებული პროდუქტის 93% მილებზე მოდიოდა.

წლების მიხედვით იმპორტის მოცულობა ცვალებადია როგორც წონის, ასევე ღირებულების მიხედვით (გრ. 12). 2022-2024 წლებში იმპორტის მოცულობის ზრდის ტენდენცია იკვეთება. 2025 წელს, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით იმპორტირებული პროდუქტის რაოდენობა მცირედით (2%-ით) შემცირებულია. რაც შეეხება იმპორტის ღირებულებას, 2022-2023 წლებში იმპორტის ღირებულება იზრდება, თუმცა 2024 წელს, იმპორტირებული პროდუქტის რაოდენობის ზრდის მიუხედავად, იკვეთება მთლიანი ღირებულების კლების ტენდენცია. ამასთან, ყოველწლიური ნაერთი ზრდა 2022-2025 წლებში შეადგენს წონის მიხედვით 10%-ს, ხოლო თანხის მიხედვით - 2%-ს (გრ. 12).

¹ 391739 - პლასტმასის მილები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები (მაგალითად, შეერთებები, მუხლები, მილტუჩები): დანარჩენი მილები, მილაკები და შლანგები: დანარჩენი

გრაფიკი 12. 391739 კოდით იმპორტირებული მილები, 2022-2025 წლებში



ზიანის დადგენა

ანგარიშის ბოლო ნაწილი დაეთმობა ადგილობრივი წარმოების ტენდენციებისა და იმპორტის განვითარების დინამიკის შედარებას, ანტიდემპინგური ღონისძიებების შესახებ საკანონმდებლო ბაზით გათვალისწინებული ზიანისა და მიზეზშედეგობრივი კავშირის კრიტერიუმების შეფასების მიზნით.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია საქართველოში პოლიეთილენის მილების მოხმარების დადგენა და ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტირებული პროდუქტის საბაზრო წილების შედარება. ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია, რომ სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაცია გვაძლევს საშუალებას, დავადგინოთ ადგილობრივი მწარმოებლების მიერ გაყიდული პოლიეთილენის მილების რაოდენობა მეტრებში და ღირებულება. რაც შეეხება იმპორტის მონაცემებს, როგორც უკვე აღინიშნა საგარეო ეკონომიკური ვაჭრობის სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით პოლიეთილენის მილების მაჩვენებლების დადგენისათვის გამოყენებულია 391721 კოდით იმპორტირებული მილების ღირებულება. რაც შეეხება რაოდენობას, ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია, რომ არსებული მონაცემებით მხოლოდ ტონებში პროდუქტის მოცულობის დადგენა შესაძლებელი. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ 391739 კოდით იმპორტირებული მილები ასევე მოიცავს პოლიეთილენის პროდუქტის იმპორტს, თუმცა შეუძლებელია მასალის მიხედვით მონაცემების სეგრეგირება. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი მასალის დადგენა არ არის შესაძლებელი, პროდუქტის აღწერის მიხედვით უმეტესობა სწორად პოლიეთილენის მილებს წარმოადგენს. შესაბამისად, შეფასებაში გათვალისწინებულია აღნიშნული კოდით იმპორტირებული მილების ღირებულება.

შედეგად, მე-6 ცხრილში წარმოდგენილია ადგილობრივი და იმპორტირებული პროდუქტის მოხმარების მაჩვენებელი ლარში, დღგ-ს გარეშე. წარმოდგენილი მაჩვენებლების მიხედვით, იკვეთება, რომ ადგილობრივი წარმოების გაყიდვების წილი მთლიან მოხმარებაში, დაახლოებით 53-61%-ს შორის მერყეობდა. შედარებით მაღალი 61%-იანი მაჩვენებელი 2022 და 2024 წლებში ფიქსირდება. 2025 წლისათვის ადგილობრივი წარმოების გაყიდვების წილი 53%-

მდე შემცირდა. აღნიშნული თავის მხრივ დაკავშირებულია მთლიანი მოხმარების კლების ფონზე ადგილობრივი წარმოების გაყიდვების მაჩვენებლების კლებასთან. ადგილობრივი წარმოების გაყიდვების ღირებულება ამ პერიოდში 14.2 მილიონი ლარით შემცირდა, ხოლო მთლიანი მოხმარება 7.9 მილიონი ლარით. შესაბამისად იმპორტმა, წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, დაახლოებით 6.3 მილიონი ლარის ღირებულების ადგილობრივი წარმოების პროდუქტი ჩაანაცვლა.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ 2022-2025 წლების პერიოდში ადგილობრივი ინდუსტრიის შემოსავლების ტენდენცია ცვალებადია, რაც 2023 და 2025 წლებში შემოსავლების მნიშვნელოვან კლებასთან არის დაკავშირებული. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ 2025 წლის კლების ფონზე გაზრდილია იმპორტის მაჩვენებლები, რაც შესაძლოა უარყოფით გავლენას ახდენდეს ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვებზე და მოითხოვდეს შემდგომ დაკვირვებას. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ იმპორტირებული პროდუქტის ღირებულების ზრდის მაჩვენებელი ჩამორჩება ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ მიღებული შემოსავლების კლების მაჩვენებელს, რაც მიგვანიშნებს, რომ ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანის ინდიკატორები ნაწილობრივ ბაზარზე მოხმარებული პოლიეთილენის მიღების ჯამური ღირებულების კლებასთან არის დაკავშირებული.

ცხრილი 6. პოლიეთილენის მიღების ადგილობრივი წარმოება და იმპორტი, 2022-2025 წლებში (ათასი ლარი, დღგ-ს გარეშე)

	2022	2023	2024	2025
პროდუქტის ღირებულება				
ადგილობრივი გაყიდვები	67,989	63,401	72,078	57,896
<i>ინდექსი 2022</i>	<i>100</i>	<i>93</i>	<i>106</i>	<i>85</i>
PE მიღები იმპორტი 391721	30,019	37,621	31,599	37,824
<i>ინდექსი 2022</i>	<i>100</i>	<i>125</i>	<i>105</i>	<i>126</i>
მიღების იმპორტი 391739	13,843	14,967	14,387	14,445
<i>ინდექსი 2022</i>	<i>100</i>	<i>108</i>	<i>104</i>	<i>104</i>
საბაზრო წილი				
ადგილობრივი გაყიდვები	61%	55%	61%	53%
PE მიღები იმპორტი 391721	27%	32%	27%	34%
მიღების იმპორტი 391739	12%	13%	12%	13%
მთლიანი მოხმარება	111,851	115,989	118,064	110,165
<i>ინდექსი 2022</i>	<i>100</i>	<i>104</i>	<i>106</i>	<i>98</i>

რაც შეეხება ფასების ტენდენციის შედარებას, ამ მიმართულებით, როგორც უკვე აღინიშნა ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტირებული პროდუქტისათვის რაოდენობის სხვადასხვა ერთეულებზე (მეტრი და ტონა) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, შეუძლებელია ფასების შედარება. თუმცა მე-7 ცხრილში წარმოდგენილია 2022-2025 წლებში ადგილობრივი წარმოების შერჩეული პროდუქტის ფასების საშუალო მაჩვენებელი და იმპორტირებული პროდუქტის საშუალო შეწონილი ინდექსირებული ფასების ზოგადი ტენდენციები. ხაზგასასმელია, რომ ადგილობრივი წარმოების ნაწილში არ არის გათვალისწინებული საშუალო შეწონილი მაჩვენებელი, იმის გათვალისწინებით, რომ პროდუქტის სახეობებს შორის ფასებისა და გაყიდული რაოდენობის ცვლილების ფონზე,

საშუალო შეწონილი მაჩვენებლის შედეგები ზოგადად დამოკიდებულია შედარებით მაღალფასიანი და დაბალფასიანი მიწების რაოდენობაზე.

როგორც მე-7 ცხრილის მიხედვით იკვეთება, 2025 წლის საშუალო ფასების, 2022 წლის ფასებთან შედარებისას იკვეთება ფასების კლების მსგავსი ტენდენცია. ამ პერიოდში ყოველწლიური ნაერთი კლების მაჩვენებელმა ადგილობრივი წარმოების პროდუქტისათვის 5.2%, ხოლო იმპორტირებული პროდუქტისათვის 4.4% შეადგინა.

ცხრილი 7. ადგილობრივი წარმოების შერჩეული პროდუქტისა და იმპორტირებული პროდუქტის საშუალო ღირებულების ინდექსი, 2022-2025 წლებში

	2022	2023	2024	2025
ადგილობრივი წარმოების შერჩეული პროდუქტები	100	92	88	85
იმპორტი	100	103	88	87

ზიანის შეფასების ინდიკატორების გათვალისწინებით, ასევე საინტერესოა ადგილობრივი მწარმოებლების ფინანსური მაჩვენებლების შეფასება. ბაზარზე ორი წამყვანი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით სააგენტოსათვის ხელმისაწვდომია 2022-2024 წლების მონაცემები. მე-8 ცხრილის მიხედვით 2022-2023 წლებში ადგილობრივი კომპანიების შემოსავლების კლების შემდეგ, 2024 წელს ზრდის ტენდენციაა დაფიქსირებული. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ პერიოდში მიუხედავად საერთო შემოსავლების კლების ტენდენციის ცვლილებისა, სტაბილურად მზარდია, როგორც საერთო, ასევე წმინდა მოგების მაჩვენებლები.

ცხრილი 8. წამყვანი ადგილობრივი მწარმოებლების სრული შემოსავლის ანგარიშგება, 2022-2024 წლებში (ათასი ლარი)

ინდიკატორი	2022	2023	2024
შემოსავალი	61,346	53,337	62,556
თვითღირებულება / ნედლეული და მასალები	(44,713)	(36,187)	(42,360)
საერთო მოგება	16,632	17,149	20,195
წლის სრული მოგება	9,232	10,148	12,922

პლასტმასის მიწების საერთაშორისო ბაზარი

გლობალურ დონეზე პლასტმასის მიწების ინდუსტრიის განვითარების შეფასებისათვის გამოყენებულია market intelo-ს მიერ მომზადებული ანგარიში პლასტმასის მიწების გლობალური ბაზრის მიმოხილვასა და განვითარების ტენდენციებზე. პლასტმასის მიწების გლობალური ბაზარი წარმოადგენს სტრუქტურულად მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ სექტორს, რომელიც ბოლო წლებში ხასიათდება სტაბილური და ზომიერი ზრდით. ანგარიშის მიხედვით, ბაზრის მოცულობა 2025 წელს შეადგენს დაახლოებით **62.4 მილიარდ აშშ დოლარს**, ხოლო 2034 წლისთვის მოსალოდნელია მისი ზრდა **98.7 მილიარდ დოლარამდე**, საშუალოდ **5.2%-იანი წლიური ზრდის ტემპით (CAGR)**.

ბაზრის განვითარების დინამიკა ბოლო წლებში (2021–2025) აჩვენებს თანმიმდევრულ ზრდას — 2021 წლის დაახლოებით 50.3 მილიარდი აშშ დოლარიდან, 2023 წელს 56.9 მილიარდ აშშ დოლარამდე და 2025 წელს 62.4 მილიარდ აშშ დოლარამდე. აღნიშნული ზრდა არ არის სწრაფი ან ციკლურად მერყევი, არამედ ეფუძნება გრძელვადიან სტრუქტურულ ფაქტორებს, რაც მიუთითებს ბაზრის სტაბილურობაზე.

ცხრილი 9. ბაზრის მოცულობის განვითარება (2022–2025)

წელი	ბაზრის მოცულობა (მლრდ. აშშ დოლარი)	ზრდის მაჩვენებელი (CAGR, 2021)
2021	50.3	-
2023	56.9	6.4%
2025	62.4	5.5%

წყარო: <https://marketintel.com/report/plastic-pipe-market>

პლასტმასის მიღების ფართო გამოყენება განპირობებულია მათი ტექნოლოგიური უპირატესობებით ტრადიციულ მასალებთან - მეტალთან და ბეტონთან - შედარებით. აღნიშნული პროდუქტი გამოირჩევა კოროზიის მიმართ მაღალი მდგრადობით, მსუბუქი წონით, მარტივი მონტაჟით, ხანგრძლივი ექსპლუატაციის ვადით და დაბალი საერთო ხარჯებით. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებს პლასტმასის მიღების ფართო ჩანაცვლებით ეფექტს ტრადიციული მილსადენების სისტემებში, განსაკუთრებით წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ინფრასტრუქტურაში.

რეგიონულ ქრილში, ბაზარზე დომინირებს აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონი, რომელიც 2025 წელს ბაზრის მოხმარების **44.2%-იან წილს მოიცავდა**. აღნიშნული ლიდერობა ძირითადად განპირობებულია ჩინეთის მასშტაბური ურბანიზაციის პროცესით და ინდოეთის ინფრასტრუქტურული პროგრამებით. ჩრდილოეთ ამერიკა და ევროპა შედარებით სტაბილური, მაგრამ უფრო დაბალი ზრდის ტემპით ხასიათდებიან, რადგან მათი ბაზრები უფრო განვითარებულია და ძირითადად ჩანაცვლებით მოთხოვნაზე დამოკიდებული.

მასალების მიხედვით, ბაზარზე PVC მიღები ლიდერობს, რომელსაც ბაზრის დაახლოებით **38.5% აქვს**. მეორე მნიშვნელოვანი სეგმენტს პოლიეთილენის (PE) მიღები წარმოადგენს, რომელიც ბაზრის **32.4%-ს მოიცავს** და წარმოადგენს ყველაზე სწრაფად მზარდ სეგმენტს, განსაკუთრებით წყალმომარაგების, გაზის განაწილებისა და სარწყავი სისტემების სფეროში.

პლასტმასის მიღების გლობალური ბაზრის სტაბილურ ზრდას რამდენიმე ძირითადი ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში, გლობალური ურბანიზაცია და საცხოვრებელი მშენებლობის ზრდა ქმნის მუდმივ მოთხოვნას მილსადენებზე. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია მოძველებული ინფრასტრუქტურის ჩანაცვლება, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში. მესამე ფაქტორი არის აგრარული სექტორის განვითარება და სარწყავი სისტემების გაფართოება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წყლის დეფიციტის პირობებში. ასევე, ენერგეტიკის სექტორში, განსაკუთრებით ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში პლასტმასის მიღები აქტიურად ცვლის მეტალის მიღებს, მათი დაბალი ხარჯებისა და მაღალი გამძლეობის გამო.

მიუხედავად პოზიტიური პერსპექტივისა, ბაზარი გარკვეული გამოწვევების წინაშე დგას. მათ შორის მნიშვნელოვანია ნედლეულის, განსაკუთრებით PVC და პოლიეთილენის, ფასების

ცვალებადობა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ნავთობისა და გაზის ფასებთან. გარდა ამისა, რეგულაციური შეზღუდვები და გარემოსდაცვითი მოთხოვნები, განსაკუთრებით ევროპაში, ზრდის შესაბამისობის ხარჯებს და აფერხებს ბაზრის სწრაფ განვითარებას.²

რაც შეეხება გლობალურ დონეზე პლასტმასის მიღების ფასების განვითარებას, ამ მიმართულებით საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის გათვალისწინებით, შეფასებისათვის გამოყენებულია პოლიეთილენის ფასების განვითარების დინამიკა, რაც ასახავს, პოლიეთილენის მიღების წარმოებაში ძირითადი ნედლეულის დინამიკას. პოლიეთილენის მიღების წარმოების ხარჯებში ნედლეულის წილი, როგორც წესი, თვითღირებულების დაახლოებით 70-80%-მდე შეადგენს³. შესაბამისად, ნედლეულის ფასის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბოლოო პროდუქტის ფასზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ ანგარიშში პოლიეთილენის ფასების ინდექსი პოლიეთილენის მიღების ფასების საერთაშორისო ტენდენციების შემცველ ინდიკატორად არის გამოყენებული.

Trading Economics-ის მონაცემების მიხედვით, პოლიეთილენის ფასები 2022–2025 წლების პერიოდში კლებისა და შემდგომი სტაბილიზაციის ტენდენციით ხასიათდებოდა. 2021 წლის პიკური მაჩვენებლების შემდეგ, 2022 წელს დაიწყო ფასების კლება. 2023-2024 წლებში პოლიეთილენის საშუალო ღირებულება შედარებით დასტაბილურდა, თუმცა 2025 წელს კვლავ გამოიკვეთა კლების ტენდენცია. მნიშვნელოვნად არის შეცვლილი 2026 წლის ტენდენცია და ფასები მკვეთრად არის გაზრდილი. ამ პერიოდში, წინა წლის შესაბამ მაჩვენებელთან შედარებით ფასები დაახლოებით 15%-ით არის გაზრდილი, რაც ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების შედეგად ნავთობქიმიკატების მიწოდების ჯაჭვის შეფერხებასა და ენერგეტიკული ხარჯების ზრდასთან არის დაკავშირებული.

გრაფიკი 13. პოლიეთილენის ფასი 2022-2026 წლებში ⁴



წყარო: <https://tradingeconomics.com/commodity/polyethylene>

² <https://marketintel.com/report/plastic-pipe-market>

³ https://www.imarcgroup.com/insight/hdpe-pipe-manufacturing-cost-analysis?utm_source=chatgpt.com

⁴ Trading Economics-ის მიერ წარმოდგენილი პოლიეთილენის ფასების ინდექსი ეფუძნება ძირითადად აზიის, განსაკუთრებით ჩინეთის ნავთობქიმიკატების ბაზრებისა და სასაქონლო ბირჟების (მაგალითად, Dalian Commodity Exchange) ფასებს.

დასკვნა

წარმოდგენილი მონაცემებისა და შეფასებული ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ 2022-2025 წლებში საქართველოში პლასტმასის, მათ შორის პოლიეთილენის მიწების ბაზარი ხასიათდებოდა მოთხოვნის, იმპორტისა და ადგილობრივი ინდუსტრიის მაჩვენებლების ცვალებადი დინამიკით, თუმცა არ იკვეთება ისეთი გარემოებები, რომლებიც ადგილობრივი ინდუსტრიისათვის იმპორტით გამოწვეული მატერიალური ზიანის არსებობაზე მიუთითებდა.

შეფასებამ აჩვენა, რომ ადგილობრივი ინდუსტრია მთელი პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებდა ბაზარზე დომინანტურ პოზიციას, ხოლო ადგილობრივი გაყიდვების შემცირება განსაკუთრებით 2025 წელს უფრო მეტად ბაზრის მოცულობის შემცირებას უკავშირდებოდა, ვიდრე იმპორტირებული პროდუქტით ადგილობრივი წარმოების ჩანაცვლებას. ამასთანავე, იმპორტის მოცულობებისა და საბაზრო წილების დინამიკა ცვალებადი ხასიათით გამოირჩეოდა და არ გამოვლენილა წამყვანი იმპორტიორი ქვეყნიდან იმპორტის სტაბილური და მკვეთრი ზრდა, რომელიც ადგილობრივი ინდუსტრიის მდგომარეობაზე არსებით უარყოფით გავლენას მოახდენდა. თუმცა ასევე გასათვალისწინებელია, რომ 2025 წელს წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით იმპორტის წილი ბაზარზე 8 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი. მსგავსი ტენდენციის შენარჩუნებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვებზე და შესაბამისად, საჭიროებდეს შემდგომ დაკვირვებას.

ფასების განვითარების ტენდენციების შეფასებამ აჩვენა, რომ ფასების კლება თანაბრად ვლინდებოდა როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტირებული პროდუქტის შემთხვევაში და მეტწილად შეესაბამებოდა საერთაშორისო ბაზრებზე ნედლეულის ფასების ცვლილებებს. ასევე, არ გამოვლენილა ისეთი გარემოებები, რომლებიც თურქეთიდან განხორციელებული იმპორტის დემპინგურ ფასებზე მიუთითებდა.

დამატებით, ადგილობრივი მწარმოებლების ფინანსური მაჩვენებლების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად შემოსავლების ცვალებადი დინამიკისა, კომპანიები ინარჩუნებდნენ მომგებიანობას.

საერთაშორისო ტენდენციების ანალიზმა აჩვენა, რომ პლასტმასისა და პოლიეთილენის მიწების ბაზარზე ფასებისა და მოთხოვნის ცვლილებები ფართო გლობალურ პროცესებს უკავშირდება, მათ შორის ნედლეულის ფასების დინამიკასა და მიწოდების ჯაჭვებში მიმდინარე ცვლილებებს.

შესაბამისად, ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის, ბაზრის მაჩვენებლებისა და შეფასებული ეკონომიკური ინდიკატორების საფუძველზე არ დგინდება, რომ ადგილობრივი ინდუსტრიის მდგომარეობის შესაძლო გაუარესება გამოწვეული იყო იმპორტის ზრდით ან დემპინგური ფასებით განხორციელებული იმპორტით.